# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №95/ნ

**2017 წლის 9 ივნისი**

**ქ. თბილისი**

**„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ III, 26.09.2005) და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. სკოლა ვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წერილობით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პერიოდზე, კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს სკოლის საბანკო ანგარიშებზე თანხების მოძრაობისა და მათი დანიშნულების, ასევე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია და წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და**
**მეცნიერების მინისტრი** — **ალექსანდრე ჯეჯელავა**